შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

20 დეკემბერი 2023 წელი

N 56/36

ეგზ.: N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის ესახებ	11
	2. აუდიტის მიგნებები	12
დანართები	საკონტაქტო ინფორმაცია	21

ტერმინები და შემოკლებები

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.
სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.
კულტურის სააგენტო – სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო.
რისკი – ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე.
ეკონომიურობა – რესურსების ღირებულების მინიმუმამდე შემცირება მისაღები ხარისხის პირობებში, რაც გულისხმობს შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის საჭირო რესურსების დროულად და საუკეთესო ფასად შეძენას.
ეფექტიანობა – დაგეგმილი შედეგებისა და დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღწეული მიზნებისა და შედეგების განხორციელებულ ღონისძიებებთან კავშირს.
პროდუქტიულობა – არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა, რაც გულისხმობს შესაბამისი ხარისხის, რაოდენობისა და დროულობის გათვალისწინებით გამოყენებულ რესურსებსა და საბოლოო პროდუქტს შორის თანაფარდობას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

პროგრამების/ ქვეპროგრამების კონტროლის მექანიზმები

ქვეპროგრამის – „ონლაინ საკვირაო სკოლა“ კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზეპირი რეკომენდაციით, შეირჩა საგნობრივი მიმართულების სამი პედაგოგი. სამინისტროს მიერ კი – ორი კოორდინატორი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე.[1]

სამინისტროს ბრძანებით[2] მოსწავლეების რაოდენობის 160-მდე გაზრდის შესაბამისად, ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით, მეოთხე კვარტალში 12,210 ლარით გაიზარდა ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა და შეადგინა 51,840 ლარი. პედაგოგების და კოორდინატორების ხელფასები გაორმაგდა და გახდა თვეში თითოეულ პედაგოგზე 2,200 ლარი, ხოლო კოორდინატორზე – 770 ლარი. ახალი შრომითი ხელშეკრულებები პედაგოგებთან და კოორდინატორებთან გაფორმდა ახალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე.[3]

ამასთანავე, სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრენინგზე დასწრების აღრიცხვის დოკუმენტაცია.

ქვეპროგრამის – „აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ დადოკუმენტირების შეუსაბამობები

ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელთა ორგანიზებაზე დაიხარჯა, ჯამში – 5,610 ლარი. სამინისტროს მიერ ვაჟთა მინი-ფეხბურთში მონაწილე გუნდების შეჯიბრების შედეგების ოქმების გარდა, სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.[4]

ქვეპროგრამის – „საახალწლო ზეიმის“ მართვაში არსებული ხარვეზები

სააგენტოს მიერ საახალწლო საჩუქრების გადაცემასთან დაკავშირებით მოწოდებულ სიებში 657-დან 273 ბავშვი წარმოდგენილი იყო[5] მაიდენტიფიცირებელი მონაცემის/დოკუმენტის გარეშე;

არ იდენტიფიცირდებოდნენ პროგრამის ის ბენეფიციარები, ვისაც დაურიგდა 9,478.42 ლარის საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები, ხოლო სააგენტოს მიერ სხვადასხვა უწყებაზე 4,963.58 ლარის ღირებულების საახალწლო საჩუქრების პირდაპირ გადაცემა ქვეპროგრამის აღწერილობას არ შეესაბამებოდა.

[1] სამინისტროს თანამშრომელთა განმარტებით.
[2] 2022 წლის 3 ნოემბრის ბრძანება N446/ფ.
[3] 2022 წლის 4 ოქტომბერს,
[4] მონაწილე სპორტსმენთა სია, მსაჯების მიერ ხელმოწერილი შეჯიბრების შედეგების ოქმები.
[5] მხოლოდ გვარითა და სახელით.

ქვეპროგრამის – „სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

საქართველოს პადელის ფედერაციასა[6] და შპს „თბილისის პადელს“[7] შორის გაფორმდა ხელშეკრულება[8] პადელის[9] კორტის და ჩოგნების იჯარაზე, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 3,300 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დაფიქსირდა დაკავშირებული მხარეების/ინტერესთა კონფლიქტის ფაქტები.

ა(ა)იპ – საკალათბურთო კლუბ „ცხუმ-აფხაზეთს“ სამინისტროს თანხმობით და მხოლოდ ინვოისის საფუძველზე, სალიცენზიო დავალიანების დასაფარავად ჩაერიცხა 20,000 ლარი, ისე რომ არ იყო წარმოდგენილი დავალიანების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

რიგ შემთხვევაში დაფინანსებული ორგანიზაციების[10] მიერ არ იყო წარმოდგენილი შეძენილ მატერიალურ ფასეულობებზე სასაქონლო ზედნადებები და მიღებულ მომსახურებაზე თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები.[11] აქტივობების მიმდინარეობასა და საბოლოო შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება არ დასტურდებოდა სათანადო დოკუმენტაციით.

ქვეპროგრამაში – „ევროპული არდადეგები“ კონტროლის სისუსტით დაშვებული ხარვეზები

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილე 300 მონაწილიდან,[12] 220 მონაწილის სია წარმოდგენილი იყო შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების/დოკუმენტის გარეშე.

ქვეპროგრამის – „სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“ კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა 80-კაციანი სიიდან, 40 მონაწილე წარმოდგენილი იყო[13] პიროვნების მაინდენტიფიცირებელი მონაცემების/დოკუმენტის გარეშე.

პროგრამების/ ქვეპროგრამების პროცესები

ქვეპროგრამაში – „ფერწერა აფხაზეთიდან“ კრიტერიუმების არარსებობით გამოწვეული ნაკლოვანებები

პროექტის – „ფერწერა აფხაზეთიდან“ ფარგლებში, ქალთა დღესთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ წინასწარ დადგენილი ფორმალური კრიტერიუმის გარეშე, შეირჩა ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე თხუთმეტი დევნილი ქალბატონი, რომელთაც ამავდროულად, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების მხარდაჭერის და მათი პოპულარიზაციის მიზნით, საჩუქრად

[6] ფედერაციის პრეზიდენტი - გიორგი ჯიბლაძე, ვიცე-პრეზიდენტი - ვლადიმერ კაკულია, ფედერაციის წევრი - ვლადიმერ გორდეზიანი.
[7] ს/კ 404616359 — დირექტორი ვლადიმერ გორდეზიანი, ამავდროულად 27%-იანი წილის მფლობელი, შპს printer.ge - 62% (100%-იანი წილის მფლობელი გიორგი ჯიბლაძე) და ვლადიმერ გორდეზიანი - 11%-იანი წილის მფლობელი.
[8] 2022 წლის 15 სექტემბერის N2022/09/001 იჯარის ხელშეკრულება.
[9] კედელზე ჩოგბურთის თამაშის სახეობა.
[10] აღნიშნული შემთხვევები ფიქსირდება შპს „ფეხბურთის კლუბ „ცხუმ-სოხუმთან“, ა(ა)იპ - საკალათბურთო კლუბ „სოხუმ-კოლხასთან“, საცხენოსნო ფედერაციასთან, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასთან და ა(ა)იპ - აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციასთან მიმართებით.
[11] აღნიშნული შემთხვევები ფიქსირდება შპს „ფეხბურთის კლუბ „ცხუმ-სოხუმთან“, ა(ა)იპ - საკალათბურთო კლუბ „სოხუმ-კოლხასთან“, საცხენოსნო ფედერაციასთან, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასთან და ა(ა)იპ - აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციასთან მიმართებით.
[12] 25 სპორტსმენი გალის რაიონის ფეხბურთელთა გუნდის წევრია, რომლებიც ორჯერ დასაჩუქრდნენ.
[13] მხოლოდ გვარ-სახელებით.

გადაეცათ სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის შეძენილი ფერწერული ნამუშევრები.

ქვეპროგრამის – „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“ კრიტერიუმით გამოწვეული ხარვეზები

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით, დავალიანების თანხა ნაკლები იყო, ვიდრე კრიტერიუმით განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების კრიტერიუმი არ ითვალისწინებდა სწავლის საფასურის დავალიანების მიხედვით დაფარვას, დავალიანების დამადასტურებელი ინვოისების მიხედვით დაფინანსდა 51 სტუდენტი, ჯამში – 24,724 ლარით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი კანდიდატების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებებით, დასაფინანსებლად შერჩეული სტუდენტებიდან ერთი თვით დაფინანსება გადაუვადდა: პირველ ეტაპზე – 36, მე-2 ეტაპზე – 11, მე-3 ეტაპზე – 31 სტუდენტს და მათ მოეთხოვათ, დავალიანების შესახებ ახალი ინვოისები წარმოედგინათ. შერჩეული სტუდენტების ერთი ნაწილის[14] დაფინანსების გადავადება გამოწვეული იყო ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში თანხები უკმარისობით და იმით, რომ შესაბამისი ცვლილებები არ იყო განხორციელებული. კერძოდ, კვარტლიდან კვარტალში თანხები არ გადატანილა, რათა ყველა შერჩეული სტუდენტი ჩაეყენებინათ თანაბარ/თანასწორ პირობებში და ხელმეორედ არ მოეთხოვათ ახალი ინვოისები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს;
სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს.

პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებისას შეიქმნას/დაიხვეწოს ისეთი ოპტიმალური კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც განხორციელდება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

რეკომენდაცია N2

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს;
სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს.

შემუშავდეს კონტროლის ისეთი პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს სათანადო მომიტორინგს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების ეფექტიანად ხარჯვას.

[14] 78 სტუდენტი.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს და სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვათან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების)

შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ჩატარება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი მოიცავს 01.01.2022 – 01.01.2023 წლების პერიოდს.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი";
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- სართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ";
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ";
  საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილება "ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 17 აპრილის N203 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება N385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10

თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია";
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ვტონომიური რესპუბლიკის ქონების შესახებ";
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის N33 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ-ების დებულებები, შინაგანაწესები და სხვა შიდა სამართლებრივი აქტები;
- საბიუჯეტო პროგრამების/ქვეპროგრამების დამტკიცების ბრძანებები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის ბიზნესპროცესებზე დაკვირვება;
- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტური ანალიზი);
- განხორციელებული ოპერაციების დოკუმენტური შემოწმება;
- აუდიტის ობიექტის არაფინანსური აქტივების დათვალიერება;

- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- აღნიშნულ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის ესახებ

დებულების მიხედვით, სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის, აფხაზეთის კულტურული ფასეულობების (მატერიალური და არამატერიალური ძეგლები) დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულება ცხრილის სახით (იხ. დანართი).

2. აუდიტის მიგნებები

2.1 პროგრამების/ ქვეპროგრამების პროცესები

2.1.1 ქვეპროგრამის – „საახალწლო ზეიმი“ (06 27 02 07) მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი

მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნებით,[15] ხელმძღვანელს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

სააგენტოს 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამის (06 27 02 07) – „საახალწლო ზეიმი“ მიზანი იყო საახალწლო სპექტაკლების გამართვა და შემდგომ, სააგენტოს მიერ დევნილი, შშმ პირებისთვის, მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

ფაქტობრივი გარემოება

სააგენტოს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამა ითვალისწინებდა საახალწლო სპექტაკლების გამართვას და შემდგომ – დევნილი, შშმ პირებისთვის, მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემას, კერძოდ:

ცხრილი 1. ინფორმაცია ორგანიზაციებზე საახალწლო საჩუქრების გადაცემის შესახებ

N	ორგანიზაციის დასახელება	საჩუქრების რ-ბა (ცალი)	ღირებულება	გადაცემის დოკუმენტი	ბენეფიციარების სია
1	გალის რაიონის რესურსცენტრი	50	1 090,75	N59, 09.12.2022 წ.	არ ახლავს
2	საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია	20	266,90	N59, 09.12.2022 წ.	არ ახლავს
3	აფხაზეთის იგპ - ტერიტორიული ორგანო	100	1 403,95	N66, 29.12.2022 წ.	არ ახლავს
4	სსიპ - მომსახურების სააგენტო	60	800,76	N67, 23.12.2022 წ.	არ ახლავს
5	სსიპ - მომსახურების სააგენტო	55	733,97	N70, 28.12.2022 წ.	არ ახლავს
6	ქ. თბილისის 198-ე სკოლა	50	667,25	N68, 26.12.2022 წ.	არ ახლავს
	სულ	**335**	**4 963,58**		

როგორც დადგინდა, სააგენტოს მიერ სხვადასხვა უწყებაზე 4,963.58 ლარის ღირებულების საახალწლო საჩუქრების პირდაპირ გადაცემა ქვეპროგრამის აღწერილობასთან შეუსაბამოა.

დასკვნა

საბიუჯეტო პროცესების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად წარმოიშვა 4,963.58 ლარის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

2.1.2 ქვეპროგრამის – „სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა

კრიტერიუმი

მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნებით,[16] საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

[15] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 5.
[16] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 3.

ინიციატივების ხელშეწყობა“ (06 27 03 01) ნაკლოვანებები	მოქმედი წესით,[17] ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე, მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. **ფაქტობრივი გარემოება** სააგენტოს 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამით – „სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ (06 27 03 01) ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრა 100,500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თანაშებში მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობას, ახალგაზრდული საქმეების განვითარებას/ხელშეწყობას. პროგრამის მიზანად დაისახა ტურნირების სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული შეჯიბრებების, შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სხვადასხვა სპორტული ფედერაცია და საკლუბო გუნდი, ჯამში – 103,252 ლარით. დაფინანსებულთა შორისაა: ✓ ა(ა)იპ – საქართველოს პადელის ფედერაცია (13,337 ლარი), რომელმაც 2022 წლის წლის 21-25 სექტემბერს ჩაატარა ჟიული შარტავას სახელობის ტურნირი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის თასზე“. ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება[18] საქართველოს პადელის ფედერაციასა[19] და შპს „თბილისის პადელს“[20] შორის, პადელის კორტის და ჩოგნების იჯარაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 3,300 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ფიქსირდება დაკავშირებული მხარეების/ინტერესთა კონფლიქტის ფაქტები. ✓ 2022 წლის 2 აგვისტოს ა(ა)იპ – საკალათბურთო კლუბ „ცხუმ-აფხაზეთს“ სამინისტროს თანხმობით და მხოლოდ ინვოისის საფუძველზე, სალიცენზიო დავალიანების დასაფარავად ჩაერიცხა 20,000 ლარი, ისე რომ არ იყო წარმოდგენილი დავალიანების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.[21] ✓ რიგ შემთხვევაში დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ არაა წარმოდგენილი შეძენილ მატერიალურ ფასეულობებზე სასაქონლო ზედნადებები და მიღებულ მომსახურებაზე თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები (მოთხოვნილია და წარმოდგენილია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტები).[22] აქტივობების მიმდინარეობასა და საბოლოო შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება არ დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით.
დასკვნა	დარღვეულია ქვეპროგრამის აღწერილობის მოთხოვნები და წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების/ინტერესთა კონფლიქტის ფაქტები, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან განკარგვას წარმოშობს.

[17] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 202 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

[18] 2022 წლის 15 სექტემბერის N2022/09/001.

[19] ფედერაციის პრეზიდენტი - გიორგი ჯიბლაძე, ვიცე-პრეზიდენტი - ვლადიმერ კაკულია, ფედერაციის წევრი - ვლადიმერ გორდეზიანი.

[20] ს/კ 404616359 – დირექტორი ვლადიმერ გორდეზიანი, ამავდროულად 27%-იანი წილის მფლობელი, შპს printer.ge-ს 62%-იანი (100%-იანი წილის მფლობელი გიორგი ჯიბლაძე) და ვლადიმერ გორდეზიანი - 11%-იანი წილის მფლობელი.

[21] ურთიერთშედარების აქტი.

[22] აღნიშნული შემთხვევები ფიქსირდება შპს „ფეხბურთის კლუბ „ცხუმ-სოხუმთან“, ა(ა)იპ - საკალათბურთო კლუბ „სოხუმ-კოლხასთან“, საცხენოსნო ფედერაციასთან, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციასთან და ა(ა)იპ - აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციასთან მიმართებით.

2.1.3 ქვეპროგრამის – „ფერწერა აფხაზეთიდან“ (06 27 02 09) კრიტერიუმების არარსებობით გამოწვეული ნაკლოვანებები	**კრიტერიუმი** პროგრამით განსაზღვრული მეთოდოლოგიით,[23] პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს. **ფაქტობრივი გარემოება** სააგენტოს 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამა – „ფერწერა აფხაზეთიდან“ (06 27 02 09) ითვალისწინებდა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების და პროფესიონალი მხატვრების ფერწერული ნამუშევრების გამოფენებს; სხვადასხვა ფერწერული ტილოს შესყიდვას და ღვაწლმოსილი ქალბატონების დაჯილდოებას ქალთა საერთაშორისო დღესთან (8 მარტი) დაკავშირებით; ქვეპროგრამის მიზანი იყო ფერწერის პოპულარიზაცია. 2022 წლის მარტის დასაწყისში პროექტის – „ფერწერა აფხაზეთიდან“ ფარგლებში, ქალთა დღესთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ წინასწარ დადგენილი ფორმალური კრიტერიუმის გარეშე, შეირჩა ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე, საკუთარი საქმიანობით გამორჩეული თხუთმეტი დევნილი, ღვაწლმოსილი ქალბატონი (მათი მრავალწლიანი წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობის გათვალისწინებით); ამავდროულად, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების მხარდაჭერის და მათი პოპულარიზაციის მიზნით, შეძენილი იყო ფერწერული ნამუშევრები და ისინი საჩუქრად გადაეცათ აღნიშნულ ქალბატონებს.
დასკვნა	არ იყო ფორმალიზებული ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე პირების შერჩევის კრიტერიუმები, რამაც განაპირობა პროგრამის ბენეფიციარების შერჩევის სუბიექტური მიდგომა და წარმოიშვა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვის რისკები.
2.1.4 ქვეპროგრამის (06 04 02) – „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“ კრიტერიუმებით გამოწვეული ხარვეზები	**კრიტერიუმი** მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნებით,[24] „საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად“. **ფაქტობრივი გარემოება** სამინისტროს 2022 წლის 12 იანვრის N36/ფ ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამა (06 04 02) – „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“ ითვალისწინებდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების თანადაფინანსებას სწავლის შეფასების შედეგების შესაბამისად, შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: • 1,125 ლარით (ბოლო სემესტრში საშუალო აკადემიური მოსწრება – 99%-100%); • 700 ლარით (90%-99%-მდე); • 500 ლარით (80%-90%-მდე); • 300 ლარით – ავტორიზირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული პროგრამების სტუდენტები. ფინანსური კონტროლის შესახებ კანონმდებლობით,[25] ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და

[23] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, 2.7 მარეგულირებელი ნორმები, 3.1 პროგრამული ბიუჯეტის დანართი, შუალედური და საბოლოო შედეგები.
[24] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10.
[25] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „უ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

	პროდუქტიულად გამოყენება. ეკონომიურობა არის რესურსების ღირებულების მინიმუმამდე შემცირება მისაღები ხარისხის პირობებში. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით, დავალიანების თანხა ნაკლები იყო, ვიდრე კრიტერიუმით განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების კრიტერიუმი არ ითვალისწინებდა სწავლის საფასურის დავალიანების მიხედვით დაფარვას, დავალიანების დამადასტურებელი ინვოისების მიხედვით დაფინანსდა 51 სტუდენტი, ჯამში – 24,724 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი კანდიდატების გამოვლენის მიზნით, შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებებით დასაფინანსებლად შერჩეული სტუდენტებიდან ერთი თვით დაფინანსება გადაუვადდა: პირველ ეტაპზე 97 სტუდენტიდან – 36-ს (37%), მე-2 ეტაპზე 36 სტუდენტიდან – 11-ს (31%), მე-3 ეტაპზე 87 სტუდენტიდან – 31-ს (36%) და გადავადებულ სტუდენტებს მოეთხოვათ დავალიანების შესახებ ახალი ინვოისების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ შერჩეული სტუდენტების ერთი ნაწილის[26] დაფინანსების გადავადება გამოწვეული იყო ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში თანხების უკმარისობით და არ განხორციელდა მასში ცვლილებები (კვარტლიდან კვარტალში თანხების გადატანა), რათა ყველა შერჩეული სტუდენტი ჩაეყენებინათ თანაბარ/თანასწორ პირობებში.
დასკვნა	პროგრამის აღწერილობასა და მიზანთან შეუსაბამობოდ შედგენილი დაფინანსების არასრულყოფილი კრიტერიუმების გამო, დაფინანსებულია 51 სტუდენტი, ჯამში – 24,724 ლარით, ხოლო ქვეპროგრამის კვარტალურ განწერაში სათანადო ცვლილებების განუხორციელებლობის გამო, შეიქმნა ბენეფიციარებისთვის დაფინანსების არათანაბარი პირობები.
რეკომენდაცია N1	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს; სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს. პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებისას, შეიქმნას/დაიხვეწოს ისეთი ოპტიმალური კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც განხორციელდება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.
შიდა კონტროლის სისტემა **ქვეპროგრამების კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები**	**კრიტერიუმი:** კანონმდებლობით,[27] ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. ეკონომიურობა არის რესურსების ღირებულების მინიმუმამდე შემცირება მისაღები ხარისხის პირობებში. **ფაქტობრივი გარემოება:** ➢ სამინისტროს 2022 წლის 12 იანვრის N36/ფ ბრძანებით დამტკიცებული **ქვეპროგრამა (06 04 20) – „ონლაინ საკვირაო სკოლის“** მიზანი იყო აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონში მდებარე საშუალო სკოლების მოსწავლეთა ზოგადი განათლების ამაღლება, სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ონლაინ სკოლა მოიცავდა კვირაში ერთხელ – 2 დაწყებით და 2 საბაზისო საფეხურის ჯგუფში 80 მოსწავლისათვის სამი საგნობრივი მიმართულებით[28] სწავლებას. ბენეფიციართა რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრა 20 მოსწავლით. საგნობრივი მიმართულების ერთი

[26] 78 სტუდენტი.
[27] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „უ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[28] ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნება.

პედაგოგი კვირაში ერთხელ იმუშავებდა 80 მოსწავლესთან (120 წთ). ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 39,630 ლარს. სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზეპირი რეკომენდაციით, შეირჩა საგნობრივი მიმართულების სამი პედაგოგი, სამინისტროს მიერ კი – ორი კოორდინატორი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე.[29] სამინისტროს ბრძანებით,[30] მოსწავლეების რაოდენობის 160-მდე გაზრდის შესაბამისად, ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით, მეოთხე კვარტალში 12,210 ლარით გაიზარდა ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა და შეადგინა 51,840 ლარი. პედაგოგების და კოორდინატორების ხელფასები გაორმაგდა და გახდა თვეში თითოეულ პედაგოგზე 2,200 ლარი, ხოლო კოორდინატორზე – 770 ლარი. აღსანიშნავია, რომ ახალი შრომითი ხელშეკრულებები პედაგოგებთან და კოორდინატორებთან გაფორმდა 2022 წლის 4 ოქტომბერს, ანუ ახალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე. ამასთანავე, სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრენინგზე დასწრების აღრიცხვის დოკუმენტაცია,[31] რის გამოც ვერ დასტურდება ტრენინგში სრულად მონაწილეთა რაოდენობა და სატრენინგო მომსახურების მოცულობა.

- სამინისტროს 2022 წლის 12 იანვრის N36/ფ ბრძანებით დამტკიცებული **ქვეპროგრამის (06 04 22) – „აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“** მიზანი იყო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეებში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და საქართველოს სასკოლო სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელთა ორგანიზებაზე დაიხარჯა, ჯამში – 5,610 ლარი. სამინისტროს მიერ ვაჟთა მინი-ფეხბურთში მონაწილე გუნდების შეჯიბრების შედეგების ოქმების გარდა, სხვა ღონისძიებებზე არ იქნა წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.[32]
- სააგენტოს მიერ 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული **ქვეპროგრამის (06 27 03 04) – „ევროპული არდადეგები“** მიზანი იყო სხვადასხვა რეგიონში ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების ინფორმირება სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე, მათ შორის, ევროინტეგრაციის საკითხებზე, ასევე ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტურისტული პოტენციალისა და ღირსშესანიშნაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შიდა ტურიზმის პოპულარიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილ იქნა შემდეგი ღონისძიებები: 1) ივნისში – თბილისიდან საგურამოში (მცხეთა) აფხაზეთიდან დევნილი 70 ახალგაზრდის (უფროსკლასელები და სტუდენტები) გამგზავრება სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. 2) ივლისში – ფოთიდან და ზუგდიდიდან სათაფლიაში (წყალტუბო) აფხაზეთიდან დევნილი 100 ახალგაზრდის (უფროსკლასელები და სტუდენტები) გამგზავრება სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. 3) ივლისში – სენაკიდან და ქუთაისიდან დადიანების სასახლეში (ზუგდიდი) აფხაზეთიდან დევნილი 100 ახალგაზრდის (უფროსკლასელები და სტუდენტები) გამგზავრება სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. ქვეპროგრამის სახარჯთაღრიცხვო

[29] სამინისტროს თანამშრომელთა განმარტებით.
[30] 2022 წლის 3 ნოემბრის ბრძანება N446/ფ.
[31] არაა წარმოდგენილი ლინკები და მათი აღრიცხვა.
[32] მონაწილე სპორტსმენთა სია, მსაჯების მიერ ხელმოწერილი შეჯიბრების შედეგების ოქმები.

ღირებულება შეადგენდა 15 ათას ლარს, ფაქტობრივად გახარჯულია 16,2 ათასი ლარი. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით: 2022 წლის 21 ივნისს საგურამოში (მცხეთა) ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა სია (70 მონაწილე) წარმოდგენილია მხოლოდ გვარ-სახელებით, პიროვნების მაინდენტიფიცირებელი სხვა მონაცემის გარეშე. 2022 წლის 18 ივლისს სათაფლიაში (წყალტუბო) ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა (100 მონაწილე) სიიდან 55 ოკუპირებული გალის რაიონის მცხოვრებია (მათ შორის, ფეხბურთელთა გუნდი 25-კაციანი შემადგენლობით), ხოლო დანარჩენი 45 მონაწილის სია წარმოდგენილია მხოლოდ გვარ-სახელებით, პიროვნების მაინდენტიფიცირებელი სხვა მონაცემების გარეშე.

2022 წლის 19 ივლისს ზუგდიდში, დადიანის სასახლეში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა (130 მონაწილე) სიიდან, 25 – ოკუპირებული გალის რაიონის მცხოვრებია,[33] ხოლო დანარჩენი 105 მონაწილის სია წარმოდგენილია მხოლოდ გვარ-სახელებით, პიროვნების მაინდენტიფიცირებელი სხვა მონაცემების გარეშე. სულ ღონისძიებებში მონაწილე 300 მონაწილიდან,[34] 220 მონაწილის სია წარმოდგენილია შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებებში მონაწილე პირთა ტრანსპორტირება განხორციელდა იუსტიციის და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში მინისტრის აპარატის ხარჯებით.

- სააგენტოს მიერ 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული **ქვეპროგრამის (06 27 03 05) – „სუფთა გარემო – ჯანსაღი ცხოვრება“** მიზანი იყო თბილისსა და რეგიონში მცხოვრები დევნილი ბავშვებისთვის ლაშქრობა, სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობები, რეგიონში კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრებ მოზარდთა შორის ამხანაგური საფეხბურთო შეხვედრის, ასევე გამწვანების და დასუფთავების აქციების მოწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სუფთა და ჯანმრთელი გარემოს შექმნა, ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- თბილისის ზღვის კომპაქტურად დასახლების მოედანზე „სპორტის მშვიდობისა და განვითარებისთვის“ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ამხანაგური საფეხბურთო შეხვედრა და მოეწყო გამწვანების აქცია.
- სამეგრელოს სკაუტური ორგანიზაციის მხარდაჭერით მოეწყო ძამის ხეობაში ერთდღიანი ლაშქრობა. აქტივობები ითვალისწინებდა ჯანსაღ გარემოში თავისუფალი დროის გატარებას, ბუნებაში ცხოვრებას.

ქვეპროგრამის სახარჯთაღრიცხვო თანხამ შეადგინა 3,000 ლარი, რაც სრულად იქნა გახარჯული.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეთა 80-კაციანი სიიდან, 40 მონაწილე წარმოდგენილია[35] პიროვნების მაინდენტიფიცირებელი მონაცემების/დოკუმენტის გარეშე.

- სააგენტოს 2022 წლის 25 იანვრის N35/ძ ბრძანებით დამტკიცებული **ქვეპროგრამის (06 27 02 07) – „საახალწლო ზეიმი“** მიზანი იყო საახალწლო სპექტაკლების გამართვა და შემდგომ დევნილი, შშმ პირებისთვის, მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა. სააგენტოს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამა ითვალისწინებდა საახალწლო სპექტაკლების გამართვას და შემდგომ –

[33] ფეხბურთელთა 25-კაციანი გუნდი, რომელიც სათაფლიაშიც იმყოფებოდა.
[34] 25 სპორტსმენი გალის რაიონის ფეხბურთელთა გუნდის წევრია, რომლებიც ორჯერ დასაჩუქრდნენ.
[35] მხოლოდ გვარითა და სახელით.

დევნილი, შშმ პირებისთვის, მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემას, კერძოდ:

ცხრილი 2. ინფორმაცია სააგენტოს მიერ დარიგებული საჩუქრების შესახებ

N	ღონისძიების ჩატარების ადგილი	თარიღი	სპექტაკლის დასახელება	საჩუქრების რ-ბა	ღირებულება
1	ზუგდიდის შალვა დადიანის სახ. დრამატულ თეატრი	27.12.2022	„კატოს ნატვრა“	119	
2	თბილისი, ილიას უნივერსიტეტი	25.12.2022	„ვარსკვლავბიჭუნა	130	5 086,42
3	თბილისი, ვ.არქანიას სახელობის „არტგალერეა“	27.12.2022	საახალწლო ღონისძიება	88	
4	ბორჯომის თოჯინების თეატრი	12.01.2023	„პრინცესა ლილე და შვლის ნუკრი“	100	1 372,50
5	სენაკი, აკაკი ხორავას სახელობის თეატრი	23.01.2023	მუსიკალური სპექტაკლი	220	3 019,50
	სულ			657	9 478,42

დასკვნა

მოწოდებული სიების მიხედვით 657-დან 273 ბავშვი წარმოდგენილი იყო[36] მაიდენტიფიცირებელი მონაცემის/დოკუმენტის გარეშე.
შესაბამისად, კონტროლის მექანიზმის არარსებობის პირობებში კონტროლის სისუსტის გამო, არ იდენტიფიცირდებიან პროგრამის ბენეფიციარები, ვისაც დაურიგდა 9,478.42 ლარის ღირებულების საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები.
ქვეპროგრამების კონტროლის მექანიზმების არაქმედითუნარიანობის გამო, დადოკუმენტირებაში დაშვებულმა შეუსაბამობებმა და ხარვეზებმა წარმოშვა საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად განკარგვის რისკები.

რეკომენდაცია N2

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს;
სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს.

შემუშავდეს კონტროლის ისეთი პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს სათანადო მომიტორინგს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების ეფექტიანად ხარჯვას.

აუდიტორები	ხელმოწერა
ნოდარ გაბედავა მთავარი აუდიტორი	
ფრიდონ დონაძე უფროსი აუდიტორი	
საბა გაწერელია აუდიტორი	

[36] მხოლოდ გვარითა და სახელით.

დანართი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

პროგ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2022 წლის გეგმა	2022 წლის საკასო შესრულება	შესრულ ების %
06 01	განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1 241,13	1 236,75	99,6
06 04	სულ განათლების ხელშეწყობის პროგრამა	304,13	303,46	99,8
06 04 01	სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება	50,00	49,98	100,0
06 04 02	„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის“ პროგრამა	115,00	115,00	100,0
06 04 04	STEM განათლების ხელშეწყობა - მზარდი და ინოვაციური გონება	6,00	5,39	89,8
06 04 07	საზაფხულო ბანაკი	24,40	24,40	100,0
06 04 11	დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები	3,22	3,22	100,0
06 04 12	აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია	2,83	2,83	100,0
06 04 14	შეხვედრები: 1. ღვაწლმოსილ პედაგოგებთან. 2. მედალოსან კურსდამთავრებულებთან. 3. წარმატებულ სტუდენტ-ახალგაზრდობასთან.	3,15	3,15	100,0
06 04 15	„თანაბარი შესაძლებლობები, თანაბარი მზრუნველობა“	5,53	5,51	99,6
06 04 17	აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა	17,50	17,50	100,0
06 04 20	„ონლაინ საკვირაო სკოლა“	51,84	51,84	100,0
06 04 21	ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულის ენის პედაგოგთა ტრენინგი	5,80	5,80	100,0
06 04 22	აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	5,60	5,60	99,9
06 04 23	თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები	3,26	3,26	100,0
06 04 24	პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში	10,00	10,00	100,0
06 05	აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა	13,99	13,02	93,1
06 07	სულ: კულტურული ღონისძიებების მხარაჭერის პროგრამა	20,00	19,97	99,8
06 07 07	გ. შარვაშიძის სახელობის პრემია'	20,00	19,97	99,8
06 10	კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა	25,42	25,32	99,6
06 10 11	სალექციო კვირეული - „აღმოაჩინე აფხაზეთი“	8,50	8,40	98,8
06 10 18	ფოტოგამოფენა - „კადრები აფხაზეთიდან“	4,00	4,00	100,0
06 10 20	მოგზაურობა აფხაზეთში	12,92	12,92	100,0
06 27 02	აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა	169,50	169,42	99,9
06 27 02 02	კულტურული ინიციატივები	75,58	75,58	100,0
06 27 02 04	ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა	7,00	7,00	100,0
06 27 02 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	35,42	35,41	100,0
06 27 02 06	„მე აფხაზეთისთვის“	7,50	7,50	100,0
06 27 02 07	საახალწლო ზეიმი	15,00	15,00	100,0
06 27 02 08	„სიყვარულით, თქვენთვის“	10,50	10,49	99,9

06 27 02 09	ფერწერა აფხაზეთიდან	10,00	9,98	99,8
06 27 02 10	„შემოქმედებითი ზაფხული“	8,50	8,45	99,4
06 27 03	სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა	498,86	378,99	76,0
06 27 03 01	სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა	103,26	103,25	100,0
06 27 03 02	აფხაზეთის სპორტული ტურნირები	9,60	9,60	100,0
06 27 03 03	წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა - დაჯილდოება	7,00	6,99	99,9
06 27 03 04	ევროპული არდადეგები	16,21	16,20	100,0
06 27 03 05	„სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“	3,00	3,00	100,0
06 27 03 06	ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა	0,80	0,80	100,0
06 27 03 07	სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	179,00	59,15	33,0
06 27 03 08	აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების/გუნდების ხელშეწყობა	180,00	180,00	100,0

საკონტაქტო ინფორმაცია

	https://www.sao.ge/ http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE